

ზვიად გამსახურდია

79 აგზავი

შემდგენლები

ნინო ოდილავაძე

კახმეგ კუდავა



გამომცემლობა არტანუჯი
თბილისი

თან საკითხავი

19

სერიის მთავარი რედაქტორი
გუბა კუდავა

რედაქტორები
ზვიად კვარაცხელია
ნატო გორდელაძე

დამკაბადონებელი
ვიოლა ტულუში

გარეკანის დიზაინერი
ილია ხელაია

ნიგში გამოყენებული ფოტოები დაცულია
საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში

ISSN 2587-4993

ISBN 978-9941-478-01-7

© გამომცემლობა „არტანუჯი“, 2018

მოგეხსენებათ, როგორ უჭირთ ადამიანებს დღეს კითხვა.

დაძაბული გრაფიკი, ცხოვრების ჩქარი რიტმი, ცოტა დრო, ბევრი საფიქრალი, ინფორმაციის მიღების მრავალი სხვა საშუალება...

არადა, ბევრს უყვარს კითხვა და ბევრს აქვს მოთხოვნილება იკითხოს.

გამომცემლობა „არტანუჯის“ ახალი სერია — **თან საკითხავი** ერთგვარი გამოსავალია ამ საყოველთაო უდროობის დროს.

დიახ, თან-საკითხავი.

საკითხავი „სხვათა შორის“, საკითხავი თანდათანობით, სვენება-სვენებით თუ ერთი ამოსუნთქვით. საკითხავი კეთების პარალელურად. ადვილი და საინტერესო საკითხავი. საკითხავი დასვენებისას, მგზავრობისას, თუნდაც მუშაობისას.

საკითხავი ავტობუსში, მანქანაში, თვითმფრინავში, მატარებელში...

საკითხავი ჰამაკში, პლაჟზე, ჯდომისას თუ წოლისას, საკითხავი ისე, ნებისმიერ დროს და ნებისმიერ ვითარებაში. საკითხავი მათთვის, ვისაც მოსწონს წიგნებისთვის „თვალის გადავლება“, ვისაც უყვარს კითხვა აქა-იქ თვალის ჩაკვრით და ვისაც არ იზიდავს ვრცელი და გაბმული ტექსტები.

თითოეულ გამოცემაში ერთი საინტერესო თემისა თუ პიროვნების შესახებ შეკრებილი, გასაგები და უშუალო ენით დაწერილი, მცირე მოცულობის ძალზე საინტერესო „ამბები“ მოიყრის თავს. ეს ნაწილები არ იქნება ერთმანეთზე გადაბმული და დამოკიდებული.

ასე, ნაკვეს-ნაკვეს კითხვა ხომ წიგნის ნებისმიერი ნაწილიდან შეგვიძლია დავიწყოთ და ნებისმიერ დროს შევწყვიტოთ, ნებისმიერ დროს განვაახლოთ და შემდეგ ნელ-ნელა ჩავამთავროთ. ან არც ჩავამთავროთ... ☺

ესეც სერიის მეცხრამეტე წიგნი!..

1.

როცა გავშვობა მთავრდება

ჩემო საყვარელო დუკლი!

...მე სულ მგონია, როცა მე შენს ახლოს არა ვარ, შენ ჭკვიანად იქნები. მე, ერთის მხრით, გული მტკივა, როცა შენი ბავშვობა თავდება. მეორეს მხრით, მიხარია, რომ შენ სადაცაა ყველა ჩემს სურვილებს გაიგებ და მალე მხარში ამომიდგები. ალბათ შენთვის დამინერია (თუ მითარგმნია) მე ჰომეროსის სიტყვები: „ზევესს გეფიცები, აგელაი, ზევესს და მამაჩემის ტკივილებს“. ჩვენ ვცხოვრობთ ძლიერ სერიოზულ დროში და აწი დროა, შენ სერიოზულად ემზადო, რათა შესძლო გახდე ჩვენი ქვეყნის ღირსეული შვილი. გზაში მე გადავიკითხე შენი საყვარელი მუსიკოსების ბიოგრაფიები, ყველანი უკვე სიყრმიდანვე ემზადებოდნენ დიდი ამბებისათვის.



კონსტანტინე გამსახურდია შვილებთან –
თამართან და ზვიადთან ერთად

გახსოვდეს, ეს ცხოვრება მოსაწყენზე მოსაწყენია, თუ ადამიანი არ იწვის რაიმე მაღალი და ზეალმტაცი ამბებისათვის. ამის გარეშე სხვა ყველაფერი ემსგავსება იმ საცოდავ და უშინაარსო ცხოვრებას, რომელსაც ეწევიან ხოლმე მცენარეები და ცხოველები. თუნდაც ჩემი გამწარებული ცხოვრებაც რომ აიღო, მე რომ დიდი იდეებისათვის მოლაშქრედ არ წარმომედგინა ჩემი თავი, ველარ გაჯუძლებდი იმ ქარიშხლებს, რომელთა გადატანაც ასე თუ ისე შეეძელი.

შენი მამიკო.

კონსტანტინე გამსახურდია

1955, 8, XII